ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №44

2014 წლის 2 ოქტომბერი

ქ. ახალციხე

,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ახალციხის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება ,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №2 დადგენილებაში (ვებგვერდი, 17/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.173.016002) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის (დებულება):

1. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტიდან მოღებულ იქნეს სიტყვები ,,და ინსპექტირებისა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) შიდა აუდიტის სამსახური.“

2. მე-12 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის მერიის მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრების და რესურსების კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების უზრუნველყოფა. ფინანსების მართვის გაუმჯობესების, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრისა და პრევენციის, ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა დისციპლინის დაცვის კონტროლი''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **კახაბერ ბერიძე**